ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 31 03 2020 წ.

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის
დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის**

ბრძანება 12

ქ. თბილისი

უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2020 წლის 4 მარტის N7 ბრძანებაში „ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების 2019 - 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის გადასახადისგან გათავისუფლების და ამავე საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის, რომლებმაც წინა - 2019 -2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი ვერ დაასრულეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლით, ან ისარგებლეს შიდა მობილობით, მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის დაკისრების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის; ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის ლევან ქისტაურის 2020 წლის 24 მარტის N1/575 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2020 წლის 4 მარტის N7 ბრძანების „ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების 2019 - 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის გადასახადისგან გათავისუფლების და ამავე საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის, რომლებმაც წინა - 2019 -2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი ვერ დაასრულეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლით, ან ისარგებლეს შიდა მობილობით, მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის დაკისრების შესახებ" პირველი პუნქტის დანართებში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) დანართ N1-ის ცხრილს = ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სწავლის სემესტრული საფასურის გადახდისგან განთავისუფლების თაობაზე, დაემატოს 21-ე ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

21	მეტრეველი	მარიამი	8	72,3

ბ) ბათილად იქნეს ცნობილი დანართ N2-ის ცხრილის მე-9 ქვეპუნქტი ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ *მარიამ მეტრეველისთვის* 2019 – 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლის სემესტრული საფასურის დაკისრების შესახებ.

2. ბრძანება გასაცნობად და შემდგომი რეაგირებისთვის დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; უნივერსიტეტის ბუღალტერიას, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანატს.

3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

4. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი,
ბოდბელი მთავარეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი) + მსოგ. იაკობი